ანტენატალური მეთვალყურეობის ვაუჩერი №

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა

ვაუჩერით მოსარგებლე:

დაბადების თარიღი:

პიროვნული ნომერი:

ოჯახური ვადა:

ვაუჩერის გაცემის თარიღი:

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა: _____

ვაუჩერით სარგებლობის წესი

ანტენატალური მეთვალყურეობის ვაუჩერით მოსარგებლეა საქართველოს მოქალაქეობის მქონე ორსული პირი. ვაუჩერით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება ფინანსდება სრულად (თანაგადახდის გარეშე), შესაბამისი წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამაში მონაწილე ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებას. ინფორმაცია პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების შესახებ იხილეთ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.ssa.gov.ge

პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების მოცულობა:

1	პირველი ვიზიტი – 13 კვირის ორსულობის ვადამდე:	ა) მეან-გინეკოლოგის კონსულტაცია; ბ) თერაპევტის კონსულტაცია; გ) სისხლის საერთო ანალიზი; დ) შარდის საერთო ანალიზი; ე) სიფილისის დიაგნოსტიკა სწრაფი/მარტივი მეთოდით; ვ) B ჰეპატიტის დიაგნოსტიკა (სისხლის შრატ./პლაზმ.) სწრაფი/მარტივი მეთოდით; ზ) აივ ანტისხეულების განსაზღვრა (სისხლის შრატ./პლაზმ.) სწრაფი/მარტივი მეთოდით; თ) სისხლის ჯგუფისა და რეზუსის განსაზღვრა; ი) საშოს ნაცხის ბაქტერიოსკოპული გამოკვლევა.
2	მეორე ვიზიტი – ორსულობის 18-20 კვირაზე:	ა) მეან-გინეკოლოგის კონსულტაცია; ბ) მცირე მენჯის ღრუს ორგანოების ექოსკოპია (ნაყოფის სტრუქტურული ანომალიების გამოსავლენად).
3	მესამე ვიზიტი – ორსულობის 30-32 კვირაზე:	ა) მეან-გინეკოლოგის კონსულტაცია; ბ) ცილის რაოდენობის განსაზღვრა შარდში; გ) ჰემოგლობინის განსაზღვრა სისხლში.
4	მეოთხე ვიზიტი – ორსულობის 34-36-38 კვირაზე:	ა) მეან-გინეკოლოგის კონსულტაცია; ბ) ცილის რაოდენობის განსაზღვრა შარდში; გ) ჰემოგლობინის განსაზღვრა სისხლში.

ვაუჩერი ძალაშია მისი სამედიცინო დაწესებულებაში წარდგენის მომენტიდან. ვაუჩერით მოსარგებლე ვალდებულია, პირველი ვიზიტი სამედიცინო დაწესებულებაში განახორციელოს არა უგვიანეს ორსულობის მე-13 კვირისა, ასევე მომდევნო ვიზიტები განახორციელოს ზემოთ მითითებული შესაბამისი ვადების დაცვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაუჩერი ჩაითვლება ძალადაკარგულად.

დამატებით გაცნობებთ, რომ პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებას აქვს ვალდებულება, ყოველგვარი ბარიერებისა და დისკრიმინაციის გარეშე, შეუფერხებლად გაგიწიოთ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების ხარისხის სტანდარტების შესაბამისად. დაუშვებელია დაწესებულების მიერ თქვენთვის რაიმე მიზეზით პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე უარის თქმა, ან პროგრამის ფარგლებში გაწეულ მომსახურებაზე რაიმე საფასურის მოთხოვნა.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 15-05

გისურვებთ ჯანმრთელობას!